გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


ამ ნომერში რვა გვერდია.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, სენატის 1883 წლის 14 ოქტომბრის მე-6554 №-ის გარდაწყვეტილების თანხმად, მეორე და მესამე ხარისხის ხმოსანთა ამორჩევაში მონაწილეობის მიღების რწმუნების წერილები შეიძლება წარმოდგენილ იქმნას არჩევანის დღემდე, ისევე, როგორც პირველ ხარისხის ხმოსნების არჩევანის დროს იყო. (1—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1890 წლის 11 ნოემბერს ტფილისის «სობრანიის» დარბაზში, დილის 9 საათზედ, დაიწყება არჩევანი მეორის ხარისხის ხმოსნებისა მომავალ 1891—1894 წლისათვის. (3—3)

## ახალი ამბავი

*** ქალაქს ტფილისს მარტო ოქტომბრის განმავლობაში მილის წყალის ფული ხუთასი თუმანი აულია.

*** გუშინ, ამ თთვის 8 რუსეთის ფოსტა ტფილისში არ მოვიდა, რადგანაც კავკავის გზაზე მისვლა-მოსვლა ფოსტისა და ეტლებისა მოისპო. ამ გზის სხვა-და-სხვა სადგურიდგან დეპეშებით იუწყებიან, რომ სადგურ მლეთიდგან გუდაურამდე დიდ-ძალი თოვლი მოვიდა და მარხილები დადიან. სადგურ გუდაურიდგან ჯვრამდე ნახევარ ადლის სიმაღლეზე თოვლი ძევს, საშინელი ჩრდილოეთის ქარი უბერავს და ამ ბუქში გზის გაწმენდა შეუძლებელია, თუმცა ამ საქმისთვის დაქირავებულია ორასზე მეტი მუშა. ჯვარსა და სადგურს „კობს“ შუა რამდენსამე ალაგას ჩამოწვა თოვლის ზვავი. გუშინ დილით ორგან გაწმინდეს თოვლის ზვავი, მაგრამ ხელახლად სხვა ალაგას კიდევ ჩამოწვა. სადგურს ყაზბეგს და ლარსს შუა გუშინ დილით ჩამოწვა ქვის ზვავი. მგზავრები და ფოსტაც კავკავის გზის სადგურზე არიან ჩამომხდარნი. იმედი არა აქვთ, რომ ამ ორს დღეში გაიწმინდოს გზა.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურს ყვირილაში ამ თთვის 6 მატარებლის ქვეშ ჩავარდა ბავშვი მანუკაშვილი, რომელსაც მატარებლის თვალმა მარცხენა ფეხის კუნთი მოაჰრა.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი ლ. მასტიცკი აცხადებს, რომ ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნება-დართვით ტფილისშიაც იქნება შემოღებული ის 1878 წ. 23 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებული წესები ავეჯით მოწყობილ ოთახების ქირით მიცემის შესახებ, რომელიც უკვე ჰმოქმედებს ს.-პეტერბურგშიო. ამ წესების მე-10 და 11 §§-ის ძალით, ავეჯიან ოთახების ქირით მიცემის უფლება მსურველთ აღებული უნდა ჰქონდეთ ბ-ნ გუბერნატორისაგან. ასეთივე ნება-რთვა უნდა აიღონ დაწესებულ ვადამდე იმათ, ვისაც უკვე გამართული აქვს ტფილისში ასეთი ოთახები. მიაქცევ რა ბ-ნ ბოქაულების ყურადღებას ამ გარემოებაზედ, ვალად ვსდებ, გამოუცხადონ ავეჯიან ოთახების ქირით მძლეველებს, რომ, ზემოხსენებულ განკარგულების თანახმად, ნება-რთვა აიღონ არა უგვიანეს 1891 წ. 1-ლ იანვრისა, და ამასთანავე გააფრთხილონ, რომ თუ ამ ვადაზედ არ ექმნებათ ნებ-რთვის მოწმობანი, სამართალში მიცემას გარდა, ვაჭრობაც აეკრძალებათ. ამას გარდა ბოქაულებმავე უნდა გამოუცხადონ ოთახების ქირით მძლეველებს, რომ: 1) იმათ უნდა ჰქონდეთ დავთარი და ამ დავთარში ჩასწერდნენ ხოლმე ყველა მდგმურსა და იმის მოწმობებს. ამასთანავე იმ განყოფილების ბოქაულს უნდა გამოუცხადონ ყოველ დღე შუადღემდე, რომ ჩემის ოთახებიდგან ესა-და-ეს მდგმური გავიდა და ესა-და ეს დადგაო; 2) ოთახებში შესასვლელს კარებზედ გარედგან შესაფერი გამოკიდული წარწერა უნდა ჰქონდეთ და აგრეთვე ფიცარი, რომელზედაც აღნუსხული უნდა იყოს, რომელი მდგმური რომელს ოთახში სდგას და 3) წესიერად და რიგიანად უნდა შეინახონ ხოლმე ის სადგომი, რომელშიაც ქირით აძლევენ ოთახებს. ამ პირობათა შესრულების ხელ-წერილები უნდა ჩამოართვან და მე წარმომიდგინონ. დასასრულ ვაუწყებ ბ-ნ ბოქაულებს, რომ ა) ზემოხსენებულ წესებს არ ექვემდებარებიან ისინი რომელნიც ერთს, ან რამდენსამე ოთახს კერძოდ აძლევენ ქირით, და ის სახლის პატრონები, რომელნიც ავეჯით თვითურად აქირავებენ სახლს რომელსამე ოჯახს; ბ) თუ პატრონმა მოიწადინა გასაქირავებელ ავეჯიან ოთახების სხვისთვის გადაცემა, მიმღების მსურველს ამ თავითვე უნდა ჰქონდეს მოწმობა გუბერნატორის მიერ ნებართვისა თავის სახელზედ; გ) ავეჯიან ოთახების ქირით მძლეველობა აეკრძალება იმათ, რომელნიც სასამართლოს გარდაწყვეტილებით საპატიმროში მსხდარან და ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშე იმყოფებიან; დ) ავეჯიან ოთახების საზოგადო და დაუქირავებელი სადგომები ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეთ პატრონებს, რათა პოლიციას თვალ-ყურის დევნება შეეძლოს და ე) ვინც ამ წესებს ერთის წლის განმავლობაში ორჯელ დაარღვევს, იმას ჩამოერთმევა უფლება ავეჯიან ოთახების ქირით ძლევისა.

*** სამშაბათს, 6 ნოემბერს, მორიგი კრება იყო სამეურნეო საზოგადოებისა გეევსკის თავსმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა წარსულის კრების განაჩენი, წერილი ბარონ ნიკოლაისა იმის შესახებ, რომ თანხმა ვარ ჩემი სურათი თქვენის საზოგადოების დარბაზში დაიკიდოსო და გორბაჩოვის რეფერატი აბრეშუმის წარმოების შესახებ შუშისა და შემახის მაზრებში. კრება გათავდა ღამის 10 საათზე. შემდეგი მორიგი კრება დანიშნულია 26 ნოემბრისათვის. ამ კრებაზედ დირექტორი საბაღოსნო სკოლისა ბ-ნი ოსტაპოვიჩი წაიკითხავს რეფერატს ხილის გაჩირვისა და მწვანილის გახმობის შესახებ.

*** წელს ტფილისში მოწოდებული იყო ჯარის-კაცად სულ 25 კაცი. ამათში ერთი განთავისუფლებულ იქმნა. დანარჩენთა შორის 2 რუსია, 3 მალოკანი, 1 ბაპტისტი, 1 მაჰმადიანი, პენზის გუბერნიის მკვიდრი, 6 ქართველი და 11 სომეხი. ამას გარდა ჩაირიცხნენ ჯარში წინად არ გამოცხადებულნი 8 რუსი და 10 ქართველ-სომეხი. რადგან ეს 18 კაციც გამოცხადდა წელს, ჯარში ყოფნა შეხვდა მხოლოდ 7 რუსსა და 33 ქართველ-სომეხს. ამ უკანასკნელთაგან 16 კაცი არ გამოცხადდა. შემდეგი კრება სამხედრო პრისუსტვიასი დღეს, 9 ნოემბერს, არის დანიშნული. ამ კრებაზე ფიცს მიაღებინებენ უკვე ჯარში ჩარიცხულთ და მკურნალი შეამოწმებს იმათ, ვინც პირველს ორს კრებაზე, 3 და 6 ნოემბერს, არ გამოცხადდა შესამოწმებლად.

*** ხევი: რაც შეწუხება სექტემბრის თთვემ თავის გაავებით მოგვაყენა, ის ახლა იმისმა მოადგილე ოქტომბრის თთვემ სიკეთით გადაგვიხადა. მთელმა ოქტომბერმა ისე გაიარა, რომ არც ერთს დღესა და ღამეს შემოდგომის სიცივის სუსხი ოდნავაც არ გვიგრძნია. ასეთისავე სითბოთი და კაი დარით დაგვიდგა ნოემბერიცა. მაგრამ ახლა-კი ძალიან აირია მონასტერი. თოვლი კარგა ბლომად მოვიდა. ალაგ-ალაგ გზაც გააფუჭა. თუ კავკავის რკინის გზა ხევსურეთზე გაიყვანეს, ხევის მკვიდრთ დიდად გაუძნელდებათ აქ ცხოვრება და მოსალოდნელია, რომ მომეტებული რიცხვი ჩვენის ხალხისა აიყაროს და სამუდამოდ გამოეთხოვოს თავის სამშობლოს, რადგანაც ერთად ერთი სალხარი ჩვენის ცხოვრებისა არის სამხედრო საქართველოს გზაზედ ქირის ზიდვა და მუშაობა.

*** სამეგრელო: წელს საკმაოდ ბევრი ამბავი მოხდა ჩვენში. წელს ამოირჩიეს ახალი მარშალი თ. ივ. დადიანი. წელსვე გადაწყდა აქაურ თავად-აზნაურთა ღირსების საქმე, რომელმაც ყველას ძველი სიგელ-გუჯრები მოაძებნინა და ყველანი მეტად დააფაცურა. სიმინდის ფასმაც ხომ წელს გვიღალატა. ჩვენმა მიწამაც, უხვად სიმინდის მოსავლის მომცემმა, წელს მეტად იძუნწა, ვენახები ხომ სულ გადაგვიხმო წრევანდელმა წელიწადმა, რადგან ფილოქსერა ძლიერ მოედო აქაურობას. ყველა ამას დაემატა ცეცხლი ტყეებში. გადიწვა კურზუსი და გორდის ტყეები. ამ ცეცხლისაგან დიდხანს იდგა ნისლი და ბურუსი და ახლა-კი ცამ ცოტ-ცოტათი გადიწმინდა. ქურდობაც არ დაგვკლებია. იყო მაგალითები, რომ შუადღისას დაჰკარგეს საქონელი და ამი-

## ფელეტონი

### ლექსები ხევსურულის „ვეფხვის-ტყაოსნის“-ა

(ბერდია გოგოთურის შვილისა და გოთია გოგოთაურისშვილის ნაამბობის ზეპირებიდამ. ხევსურეთში გაგონილი თ. რაზ—ს მიერ).

ჩამასხდნენ მეკიდობნენი:
შუშხი, მესხი და თათარი.
მაგათ კიდობან ააგეს
ქვებით და არა ქვებითა;
მაგას რო თავი დაჰხურეს,
თავი აქვ დარეკებითა.
შიგ მზეი გადააგდიან,
ძალითა, არა ნებითა.
დაკლიტეს, ზღვაჩიგ ჩააგდეს,
წყალს მიჩცეს დაძალნებითა.
ზღვამა იბრალა, არ ჩათქა,
წაიღა ქანქანებითა.
გველთა ლობესა მიჰყუდა,
არიან დალაღებითა.
წითელ გველმ უთხრა: „შავჭამათ“;
შავმა უშქინა შავითა.
თეთრმა გველმ უთხრა: „ნუ შავჭამთ“,
ხმელთ მანათობელ გავიდა.

—

ქაჯებმ მზე გამაიყვანეს,
დასვეს კიდობნის დირესა.
ფარტმანის მანადირეთა
დილაზე თვალი ხკიდესა;
სამოცი ჯუთის ისარი
დახკრეს კიდობნის კლიტესა.
შიგით მზე გამაიყვანეს,
დაჰწონეს არ დაღრიდესა.

—

ადეით, ჩემო მსახურნო,
ედან, ბედან და ომარე!
ე კაცი აქ მოიყვანეთ,
ზღვის პირს ვინ არი მჯდომარე.
— ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან:
ადვილი სამსახურია,
ერთი მოვიდეს ორთაგან.
მონა: ბიჭო, ვით ხარ, ვინა ხარ,
ვინ იყავ ზღვის პირს მდგომარი?
ჩვენი გკითხავს ბატონი,
აქ მოიყვანეთ, ვინ არი?
ტარიელი: მინდორში ოქროს კოშკი დგას,
გარშემო ვერცხლის თასები...
ახლოს მოდეგით, მზირდულნო,
ახლოთ ვერ დავიფასები.

—

კოჭლი მანა (მონა) ჩავიდოდა,
თავში ჩაიცემდა ქვითა:
— ბატონ, შენნი საკვეხურნი
მაამშვიდა მათრახითა!
ეგე იწყინა ბატონმა,
მეტად დიდსა ჯარებს ჰყრისა.
გარშამო შამაუარა;
ჩალად ისარს ჩააყრისა.
გვერდით უბავ შავი რაში,
მწვავსა ცრემლსა ჩამაჰყრისა.
ჩეეწვადა, თით მახკვნიტა,
ოქროს თითი მეემბიხა.
გაიღვიძა ტარიელმა,
ნელა-ნელა წამადგისა,
ფეხი შადგა ავჟანტასა,
ნება შაჯდა, არ შაშინდა.
შუა ორბი აუფრინდა,
ეგე ჯარის სიმრაველითა;
ბოძალდი ხკრა ტარიელმა,
მხართა შუა სისხლი სდისა.
ჩეეძაბა, მხარი მაჰკრა,
ბოძალდისთვინ მამანდისა,
ცხენი ცხენს ხკრა, კაცი კაცსა,
გორა დადგა ცხენ-კაცისა.
გლეხი კაცი არ იკადრა,
თავადებზე გადვიდისა.

—

დედას ჰკითხა ტარიელმა,
„ეს სტუმარნი ვისანია?
ცხენთა სჭედენ ნალ-უსმითა,
კაცნი მესხვაფერებიან.
— ქალსა ჰთხოვენ ბიძაშენსა,
ქორწილობას ჰლამევდიან.
— ქალსა ჰთხოვენ, მართალია,
ჩემთან რადღა ღპალევდიან.
მეც დამპატიჯან, დედაო,
მაყრებშია მეც მწადიან.
— ვერას წახვალ, ტარიელო,
ჩვენ დუშმანნი ეგნ არიან.

—

ჩვენ ხატაეთი გავტეხეთ,
შინ მავდით სახელიანი;
ე ქალი სხვას-კი არ მიჰცან,
თავის თავს უყვან ზიანი!

—

ბიძავ, ხატაეთს გაგვზავნე,
ბეგარი აგვალებიე.
— მეზირად დაგსვი, ტარიელ,
ეგ შენავ გაგამჯობინე?
მზე თუ გინდოდა, ტარიელ,
მე რად არ შამატყობინე.
ქიქაველთ ნეფის თავ-სისხლი
თავზე რად აგვალებიე.

—

ტარიელ მზის მაძებარი,
ზღვის პირსა იარებოდა;
მასკვლევნი ჰქონდეს ლოგინად,
მთვარე გულს იამებოდა;
მზე ჩახდის—დადგის ტარიელ,
ამახდის იარებოდა.

—

ციხით იძახა თინამა:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოცი ჯუთის ისარი
ქარქაშში დაითვალაო;

ტომ ახლა ყველას ეშინიან, უმწყემსოდ საქონელი კარში გაუშვას. ერთი ხათაბალაც აგვიტეხა ტყეებში გაჩენილმა ცეცხლმა: მთიდამ ბარში მრავლად გადმორეკა დათვები. არ გვახსოვს, რომ ამდენი დათვი ყოფილიყოს მინდვრად. ამათში ბევრს-კი ავუგო ანდერძი პიბოდის თოფის ტყვიამ. ერთი ამბავი კიდევ ის არის აქეთ, რომ ახალ-სენაკში წიგნთ-საკითხავის გამართვას აპირობენ. სწორედ სასიამოვნო ამბავიც არის ეს ამბავი და ვისურვებთ, რომ რაც შეიძლება მალე გამართლებულიყოს და განზრახვა კეთილი-კეთილად განხორციელებულიყოს.

*** არდანუჯში: ავაზაკი ტალახა, რომელიც სადღაც იყო მიმალული, ახლა კიდევ მოგვევლინა და არტაანის გზაზე გაძარცვა მგზავრნი. მგზავრებს წაართვა რვა ცხენი, თვით მგზავრთ შეუკრა ხელ-ფეხი და დასტოვა ასე. შემდეგ ტალახა გაჩნდა სომხების სოფელ ურუთში, იქაც საკმაოდ იავაზაკა, ზოგს ფული წაართვა, ზოგს ნივთი და განთიადისას გასწია თავის გზაზე. პოლიციამ ერთს ალაგას ყაზახები ჩაუსაფრა ტალახას, მაგრამ ტალახამ დროზედ გაიგო და გაიქცა თავის ამფხონებით. ყაზახებმა თოფები დაუშინეს და როგორც ამბობენ, დასჭრეს კიდეც ავაზაკიო. ამინდი აქეთ კარგი დგას და ამის გამო ფარცხვა ჯერ არ დაუწყიათ. თუთუნი კარგი მოვიდა, თითქმის 15 ათას ფუთამდე („Нов. Об.“-ე).

*** სურამიდამ „Тиф. Листокъ“-ს მოსვლია ამბავი, რომ იქითკენ საქონლის ჭირია თურმე. დღე არ გავა, რომ 7—10 სული საქონელი არ იმსხვერპლოს ამ ჭირმა თითოეულს სოფელშიო.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ე ამბობს, რომ, როგორც შევიტყეთ, ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში მერმისიდამ დაიწყებენ ღვინის კეთების სწავლებასაო.

*** 7 ამ თვისას, ღამით, მუხრანის ვიწრო ქუჩაზე სერგო შავერდოვის სახლის გატეხილ ფანჯრიდგან მოიპარეს 15 მან. ფულად და 68 მან. ნივთეულობა.

◆◆

# რუსეთი

ამ რამდენისამე დღის წინად იმაზე გვქონდა ლაპარაკი, რომ დასავლეთს რუსეთში ხალხი იყრება და ათასობით მიდის საზღვარ-გარედ (ამერიკაში) დასასახლებლადაო. თითქმის ამ გვარივე ამბავი ხდება აღმოსავლეთს რუსეთშიაც, სარატოვის გუბერნიაში. იქაც დაიწყო ხალხმა აყრა და სხვაგან გადასახლება, მხოლოდ აქედგან საზღვარ-გარედ-კი არ მიდიან, არამედ ციმბირში. თუმცა ჯერ ისე არ არის გავრცელებული და მოდებული გადასახლების სურვილი, როგორც დასავლეთს რუსეთში, მაგრამ სარატოვის გუბერნიასაც-კი იმოდენა ხალხი აკლდება დღითი დღე, რომ მთავრობის ყურადღება უკვე მიიქცია როგორც იშვიათმა და არა-სახუმარო ამბავმა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 150 სოფლიდგან წავიდა ხალხი ციმბირში დასასახლებლად, მაგრამ თუ დააცლეს, ყური მიუგდეს და ეხლავე არ იხმარეს რაიმე ღონის-ძიება ხალხის შესაკავებლად, სარატოვის გუბერნიაშიაც დასავლეთ რუსეთის ამბავი დაემართება. სანოვაგეთა სასტასტისტიკო კომისიამ სარატოვის გუბერნიის ერობისამ ამ დღეებში აცნობა მთავრობას ეს ამბავი და ამასთანავე თავისს მოხსენებაში უჩვენა მიზეზი ხალხის ამ ნაირის მოძრაობისა და მეორეს მხრით ის ღონის-ძიებანიც, რომლითაც შესაძლოდ მიაჩნია ამ მოძრაობის მოსპობა და ხალხის შეკავება. თავი და თავი მიზეზი ხალხის აყრისა და გადასახლებისა ის არისო, ამბობს კომისია თავისს მოხსენებაში, რომ ხალხი გამრავლდა, მიწის ლალები მოუმატეს, მოსავალსა და მუშას ფასი აღარა აქვს, უკანასკნელს წლებში მოსავალი ზედიზედ მოსცდა და კიდევ ისა, რომ „ნადელები“ ძლიერ უსწორ-მასწოროდ არის განაწილებულიო. თუ გვინდა რომ ხალხს დავეხმაროთ და გადასახლება აღარ დასჭირდესო, მცირე მამულიან გლეხებს უნდა სარატოვის გუბერნიის სახელმწიფო მამულები დავურიგოთ და იაფ ფასიანი მამულები ვაყიდვინოთ ერობის დახმარებითა ან საგლეხო ბანკის გრძელვადიანის სესხითა და სარგებელი-კი ძლიერ პატარა გამოვართვათო. ამას გარდა, დიდის სოფლებიდგან, სადაც ხალხი მჭიდროდ არის დასახლებული, ერთი ნაწილი მოსახლეებისა უნდა დასახლდეს სოფლის მოშორებით თავისუფალს მამულებზე, ვიდრე ამ ღონისძიებებს იხმარებდეს, კომისიამ საჭიროდ სცნა, ჯერ პირველად სასტასტისტიკო ცნობები შეკრიბოს იმისი, თუ რამდენია სახელმწიფო მამული სარატოვის გუბერნიაში და რამდენი და რა ფასად გაყიდულა ამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში, რა შეძლებისანი არიან იმ სოფლის გლეხები, საიდგანაც ხალხი იყრება გასასახლებლად და სხვ. ყოველისავე ამის შესახებ ადრევაც შეკრიბა სასტასტისტიკო კომისიამ ცნობები, მაგრამ ეხლა ახალის, უფრო დაწვრილებითი ცნობების შეკრება მოინდომა. ამ კომისიას განაზრახა აგრეთვე, რომ იმ ადგილების შესახებაც მოიპოვოს ცნობები, სადაც ხალხი მიდის და ამიტომ კიდეც მიჰმართა რამდენსამე დაწესებულებასა და თანამდებობის კაცს, შეგვატყობინეთ, რომელის გზით მიდის ხალხი, შოულობენ რასმე გზაში თუ არა და რა ადგილებში ჩერდებიან დასასახლებლადაო. ყველა ამ ცნობას ანუსხავს სასტასტიკო კომისია, ვრცელს მოხსენებას შეიმუშავებს და დეკემბრის სესსიაზე წარუდგენს სარატოვის საგუბერნიო ერობის კრებას განსახილველად. ეს თითქმის პირველი მაგალითია, რომ ერობა ასე გულ მოდგინედ შესდგომოდეს ხალხის დახმარებასა და ამიტომ რუსეთის გაზეთები ქებით იხსენიებენ სარატოვის ერობასა და იმის უნარს.

◆◆

# წვრილი ამბები

ამას წინად პარიჟის გაზეთებში გამოცხადებულ სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, რომ საფრანგეთის 8,000 კაცი ჰყოლია გაგზავნილი კუნძულს ახალ კალედონიაზე კატორგაში. ყოველ თვე 50—60 კაცი გამოიქცევათ ხოლმე, მაგრამ ჟანდარმები თითქმის სუყველას იჭერენ და უკან აბრუნებენ. თუ რომელიმე კატორგელი მოასწრებს ხოლმე კუნძულის გულ ადგილებისკენ გაპარვას, იქაც სხვა უარესი უბედურება მოელის: ახალ კალედონიის მცხოვრებნი პაპუასები იჭერენ და სჭამენ. ავსტრალიასა და ახალს გებრიდებზე საფრანგეთის მთავრობას თავისი აგენტები ჰყავს დაყენებული გამოქცეულ კატორგელების დასაჭერად და უკან დასაბრუნებლად, რადგან იქით, ე. ი. ავსტრალიასა და გებრიდებისკენ, უფრო მალ-მალე გამოიქცევიან ხოლმე. აგენტები შეამჩნევენ თუ არა გამოქცეულს კატორგელს, მაშინვე ადგილობრივს მთავრობას სთხოვენ ხოლმე და ისინიც უარს არ ეუბნებიან, იჭერენ და უკანვე ჰგზავნიან დამნაშავეებს. მეორეს მხრით თვით პაპუასებსაც შეჭმის მაგიერ ზოგჯერ ცოცხლები მიჰყავთ გამოქცეული კატორგელები და ამაში გადაწყვეტილს ფასს იღებენ თუმცა ასე. სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს კატორგელებს, მაგრამ მაინც, თუმცა ძლიერ იშვიათად-კი, მოასწრებენ ხოლმე კატორგიდგან გაპარვასა და კუნძულ ახალ კალედონიის გენერალ-გუბერნატორიც მაშინვე ყველგან ატყობინებს გაქცეულის ნიშნებს, რომ სადაც მოასწრონ დაიჭირონ და უკან, კალედონიაშივე, გაგზავნონ.

— ამ დღეებში ბერლინის მცხოვრებლები საშინლად ააღელვა ერთმა საზიზღარმა ბოროტ-მოქმედებამ. დურგალმა მოიჯარადრე შავმა, რომელიც ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთს უბანში სცხოვრებდა, ცულით დახოცა მთელი თავისი ოჯახი, ცოლი და ოთხი შვილი, და სადღაც მიმალა. ფიქრობენ, თითონაც თავს მოიკლავდაო. მიზეზად შავის ამ მხეცურის საქციელისა პირველად იმას ასახელებენ, რომ ცოლი ჰღალატობდა და ოჯახში მალ-მალე უსიამოვნება ჰქონდაო და მეორეც—რომ წრეულს საქმეები ცუდად წაუვიდა და შემოსავალი შეუმცირდაო. ჯერ ეს ამბავი არ მოენელებინათ ბერლინელებს, რომ მეორეც ზედ მოჰყვა. ვიღაც გერმან გასტიმ, ქარხნის ზედამხედველად ნამყოფმა, თავისი თავი და ხუთი შვილი მოსწამლა. გასტი და სამი შვილი მაშინვე გარდაიცვალნენ, ხოლო ორი მისი შვილი-კი გადარჩა, რადგან საწამლავიც ცოტა მოსვლოდათ და მკურნალებმაც დროზე მიასწრეს. ეს ბოროტ-მოქმედება გასტმა ცოლის შინ არ ყოფნის დროს ჩაიდინა, რადგა ადრევე რაღაც მიზეზის გამო გააგდო სახლიდგან.

— დედამიწის ზურგზე ყველა რკინის გზის სიგრძე 571,700 ვერსია, ე. ი. იმოდენაა, რომ დედა მიწას 14 ჯერ შემოსწვდება გარშემო და ერთ ნახევარჯერ მეტია იმ მანძილზე, რაც დედამიწიდგან მთვარემდეა. ამ რკინის გზების ერთი მეხუთედი 1884—1888 წლებშია გაკეთებული. ამავე რკინის გზების გაკეთებაზე ფული $121^1/_2$ მილიარდი მარკაა დახარჯული.

◆◆

# დეპეშა

8 ნოემბერი

პეტერბურგი. სასამართლო პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც მიესაჯა სამის თვით ციხეში ჯდომა გაზეთი „Новости“-ს რედაქტორს ნოტოვიჩს. უკანასკნელს ბრალდებოდა ცილის დაწამება ტულის ბანკის მოხელეთა. პალატამ გაამართლა ნოტოვიჩი.

პარიჟი. გამოძიებამ კვალი მიიტანა გენერალი სელივესტრევის მკვლელისა.

ათინა. რუსის ხომალდები, რომელზედაც არიან მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, მიდიან ეგვიპტეში, სადაც რუსები და ბერძნები აპირებენ დიდის ამბით მიეგებნენ მათ უმაღლესობას. მემკვიდრე ცესარევიჩი კაირის გარდა ინახულებს ზემო ეგვიპტეს, შემდეგ გაემგზავრება ინდოეთში, ჩინეთში და იაპონიაში.

პარიჟი. ეჭვი აილეს, რომ გენერალი სელივესტროვი მოუკლავს პოლშელს პადლევსკის, რომელიც მისულა წერილით ფოსტის დამტარებელის სახით.

1 ნოემბერს იყო სახელმწიფო ბანკში მე-2 ტირაჟი 5%-ან სახელმწიფო საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის მომგებიანის ბილეთებისა და 500 მანათიანი მოგებანი ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1693 | 1 | 10137 | 14 | 5103 | 33 |
| 2105 | 1 | 9480 | 15 | 11052 | 33 |
| 6673 | 1 | 12950 | 15 | 12078 | 33 |
| 7205 | 1 | 2525 | 16 | 1105 | 34 |
| 8620 | 1 | 2774 | 16 | 3456 | 34 |
| 15931 | 1 | 2813 | 16 | 6213 | 34 |
| 1081 | 2 | 3383 | 16 | 8393 | 34 |
| 12661 | 2 | 3939 | 16 | 13398 | 34 |
| 14578 | 2 | 4088 | 16 | 284 | 35 |
| 7081 | 3 | 7652 | 16 | 3699 | 35 |
| 15267 | 3 | 10799 | 16 | 5058 | 35 |
| 6092 | 4 | 11825 | 16 | 5552 | 35 |
| 11220 | 4 | 13372 | 16 | 9099 | 35 |
| 12270 | 4 | 3786 | 17 | 9447 | 35 |
| 12593 | 4 | 8359 | 17 | 13667 | 35 |
| 14927 | 4 | 13259 | 17 | 2902 | 36 |
| 4597 | 5 | 369 | 18 | 3906 | 36 |
| 10463 | 5 | 474 | 18 | 6027 | 36 |
| 11964 | 5 | 3422 | 18 | 6696 | 36 |
| 13022 | 5 | 4543 | 18 | 8361 | 36 |
| 14656 | 5 | 6837 | 18 | 11947 | 36 |
| 465 | 6 | 7421 | 18 | 5210 | 37 |
| 1432 | 6 | 8191 | 18 | 8347 | 37 |
| 1470 | 6 | 8982 | 18 | 15829 | 37 |

შავი ვარია შაჰამა,
თეთრი თან წაიყვანაო.

—

ღმერთი გაუწყრეს თინასა,
ყოველ სამართალ რჯულისი;
ქმარი უნდოდეს შენს მეტი,
ათასი ჰყვანდეს გულისი!
მაძებნა მაინც კარკია
მოყმისი დაკარგულისი.

—

ავთანდილ ჩავა დილასა,
ქვასა ჩაჰბჭენიდა რკინასა...
რა მარხედ გაუჯავრებავ,
მაგ ნეფის ქალსა თინასა!

—

შე, დეო, მამის ძმობილო,
კაცმ მალევივ ჩამაიარა;
ხელი გაგვიკრა ჯამბარას,
გუთანი გაგვიგრიალა;
წიხლი ამოხკრა მახნავსა,
ისყია გადაიარა.
გაგორდა, მაჰხვდა საბძელსა,
კუნელმა ამაიარა.
ღმინი ქნა, კბილი გამაჩნდა,
შუქმა მთა გადაიარა.
მზე ხმელზე არ მოსულიყო,
სათათრე გადაიარა.

(მეორე ვირიანტი):

დეო, შეყანის მოხნა,
კარზე ხო არავინ გიარა?
— ერთმა მოყმემა დილითა
ჰყივილით ჩამაიარა.
დევი ხვრა თავის სასახლეს,
კუნელმა ამაიარა.
ღმინი ქნა, კბილი გამაჩნდა,
შუქმა მთა გადაირა.
შენ იმას ვერ მიეწევი,
იმან დიდი გზა იარა.

—

ედან გაჰკრა მინდორშია,
ძალი აღარ დარჩა მისა;
ბედანი გაჰკრა ცაშია,
ჯერაც არ მოსულა ისა.

—

შავი ხარ და შავად მიხვალ,
მობრუნდი, მანდ ნულარ მიხვალ!
—მიბრუნდი აქ ნუ მოჰდიხარ,
თორო დღეზე გაჰწყურვილხარ!

—

ავთანდილ გადინადირა,
ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მაკლა, ვერც ფური,
ვერც ბოჩოლაი რქიანი.
შველს დახვრა გამომფრინდალსა
ისარი ორბის თფიანი;
დახკიდა ცხენის ტახტასა
ტყავ გაუხდელი, რქიანი.
ჩაიღა ბურვილის ძირჩი,
ცეცხლი დაანთა ძრიელი.
მონა დაუხვდა სადგომი,
წყლიანი, ჰაობიანი.
მაჰხადა, ქვედით დაიგა
თექალთო უნაგრიანი.
დაჯდა ღმერთსა უძახა,
მწვადი ავგა ცვრიანი.
დააძლა ამხანიგები,
თაო ზის გულჯავრიანი.

—

აი შე ბოზო დიაცო,
არჯალო, აუგიანო!
უწყლო, ულარო წისქვილნი,
მთაჩი ვის აუგიანო?

მაყვარეების გულისთვინ
ქმარი ვის გადუგდიანო!

—

ქაჯთა თქვეს: ესე საქმეი
ტარიელისეულია.
კარ-კლიტე-ქობალაქები
მინდორჩი დასრეულია.

—

აი შენ წყალო, შენ წყალო,
შენ წყალო არაგვიანო.
არც გესროლების ისარი,
არც შუბნი გეცემიანო.
წყალო, რა უყავ ჩემი მზე,
წყალო, შენ არეხიანო.
— შენი მზე წყალმა წაიღო,
შენი აღარა ჰქვიანო.
— სხვას თუ აღარას დაგაკლებ,
აღარ თუ დაგლევ, ტიალო!

—

ერთის ციხით სხვა ციხესა
საბელ გამიკიდიანო.
მე თუ მკვლენო, მეგონისა,
მე ქვე თუ მწურთნიდიანო.

—

(ფრიდონი რო ნახა ტარიელმა)

დილას რო კარჩი გამოველ,
გეზელ-ქორივით კიოდა *).
მე მონადირე მეგონა,
იმას თუ წყლული ჰტკიოდა,
გულს ერჭვა თეთრ-ფთეისარი,
სისხლი ყიათა ჰდიოდა;
სისხლი ყიათად ნადენი
დაბლა კალთეებს ჰდიოდა.
ტანზე კალთაად ნადენი
ფეხზე ჩითეებს სდიოდა.
ფეხზე ჩითეებს ნადენი
მიწას გველებურ ძვრებოდა.
მიწას გველებურ ნაძრომი
ჯოჯოხეთს ჩაწითდებოდა.

—

სუფრას ზის ავთანდილაი,
ნადიმსა გაგძელებულსა.
ცხენსა უკაზმევენ მსახურნი
თავალში ყელ-ალებულსა.
ტარიელს აქორწილებენ,
გმირსა მამაცად ქებულსა.

*) მე 2 ვარ. მთას ქორებულად კიოდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3855 | 6 | 11225 | 18 | 348 | 38 |
| 4282 | 6 | 11540 | 18 | 1366 | 38 |
| 6179 | 6 | 13736 | 18 | 4489 | 38 |
| 6295 | 6 | 3268 | 19 | 5529 | 38 |
| 6659 | 6 | 10025 | 19 | 4709 | 39 |
| 7381 | 6 | 12856 | 19 | 13412 | 39 |
| 8356 | 6 | 13911 | 19 | 721 | 40 |
| 9837 | 6 | 15953 | 19 | 1773 | 40 |
| 10325 | 6 | 824 | 20 | 4323 | 40 |
| 11985 | 6 | 2201 | 20 | 9474 | 40 |
| 12073 | 6 | 4777 | 20 | 1555 | 41 |
| 13328 | 6 | 87 | 21 | 3161 | 41 |
| 14484 | 6 | 2450 | 21 | 7011 | 41 |
| 15315 | 6 | 8487 | 21 | 9638 | 41 |
| 7975 | 7 | 6715 | 21 | 12781 | 41 |
| 10825 | 7 | 13264 | 21 | 3449 | 42 |
| 2259 | 8 | 14140 | 21 | 4740 | 42 |
| 3821 | 8 | 13037 | 22 | 12955 | 42 |
| 6606 | 8 | 3331 | 23 | 4126 | 43 |
| 7450 | 8 | 4218 | 23 | 6861 | 43 |
| 11586 | 8 | 11218 | 23 | 9457 | 43 |
| 13723 | 8 | 14017 | 23 | 10721 | 43 |
| 14551 | 8 | 14444 | 23 | 12639 | 43 |
| 15112 | 8 | 145 | 24 | 385 | 44 |
| 15454 | 8 | 551 | 24 | 3473 | 44 |
| 15994 | 8 | 6785 | 24 | 6181 | 44 |
| 4352 | 9 | 330 | 25 | 7738 | 44 |
| 5813 | 9 | 3691 | 25 | 9019 | 44 |
| 6572 | 9 | 12568 | 25 | 9143 | 44 |
| 11947 | 9 | 15173 | 25 | 10277 | 44 |
| 13858 | 9 | 15341 | 25 | 11494 | 44 |
| 13874 | 9 | 6261 | 26 | 13478 | 44 |
| 15120 | 9 | 14222 | 26 | 14504 | 44 |
| 8503 | 10 | 14748 | 26 | 5929 | 45 |
| 9255 | 10 | 6144 | 27 | 7939 | 45 |
| 12413 | 10 | 7309 | 27 | 2244 | 46 |
| 13224 | 10 | 10879 | 27 | 4276 | 46 |
| 15820 | 10 | 14056 | 27 | 4849 | 46 |
| 76 | 11 | 14287 | 27 | 14409 | 46 |
| 673 | 11 | 3535 | 28 | 1519 | 47 |
| 762 | 11 | 6723 | 28 | 3358 | 47 |
| 4037 | 11 | 9277 | 28 | 3929 | 47 |
| 5216 | 11 | 9298 | 28 | 4465 | 47 |
| 5460 | 11 | 1134 | 29 | 4628 | 47 |
| 7327 | 11 | 5686 | 29 | 8185 | 47 |
| 12112 | 11 | 7232 | 29 | 10444 | 47 |
| 13168 | 11 | 8846 | 29 | 10667 | 47 |
| 15370 | 11 | 9741 | 29 | 12246 | 47 |
| 6751 | 12 | 10831 | 29 | 12283 | 47 |
| 8774 | 12 | 12064 | 29 | 13480 | 47 |
| 9539 | 12 | 15071 | 29 | 13763 | 47 |
| 10433 | 12 | 118 | 30 | 3525 | 48 |
| 13345 | 12 | 1705 | 30 | 5541 | 48 |
| 142 | 13 | 3251 | 30 | 6951 | 48 |
| 385 | 13 | 11624 | 30 | 7772 | 48 |
| 3373 | 13 | 15557 | 30 | 9325 | 48 |
| 6456 | 13 | 2126 | 31 | 1059 | 49 |
| 7712 | 13 | 7743 | 31 | 10729 | 49 |
| 8221 | 13 | 9232 | 31 | 10758 | 49 |
| 3172 | 14 | 13594 | 31 | 1393 | 50 |
| 5787 | 14 | 5492 | 32 | 6273 | 50 |
| 8527 | 14 | 11753 | 32 | 11354 | 50 |
| 9685 | 14 | 4089 | 33 | | |

## პეტერბურგის ბირჟა, 6 ნოემბერი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 133 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | $232^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $212^{1}/_{2}$ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 213 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

(დოლის-მელიქოვის ქუჩა.)

ისყიდება როინაშვილის მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათები თ. ილია ჭავჭავაძისა, თ. აკაკი წერეთლისა, ნიკოლოზ ნიკოლაძისა, ალექსანდრე ყაზბეგისა, რაფიელ ერისთავისა, გრიგოლ არწრუნისა, ვაჟა-ფშაველისა და დიმიტრი ბაქრაძისა. იქვე ისყიდება ი. დავითაშვილის ნაწერები მშვენიერის ყდით, 1891 წ. კედლის ქართული კალენდარი, ბაჩანას პოემა, სამი ისტორიული ხრონიკა ექვთიმე თაყაიშვილისა, ბატონყმობა საქართველოში ა. ხახანაშვილისა, სიბრძნე სოლომონისა, შვილის აღზრდა ხუსკივაძისა, სურამის ციხე და სხვა.

(3—2)

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წელს 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 14 დეკემბერს 1890 წ. დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება ქვემოხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შეუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 16, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ა) სესხნი გამოცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

### 1 ქალაქის მამულები

ოქროევი, გრიგოლ იაგორის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით და მიწა, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მე-5 ნაწ. 1 განყოფ., № 299. თავნი ვალი 3749 მ. 88 კ. შემოსატანი 392 მ. 2 კ., სულ 4141 მ. 90 კ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა მოწყობილებითურთ და მიწა 166 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 1 განყ. 1 ნაწ. თავნი ვალი 3749 მ. 86 კ. შემოსატანი 320 მ. 78 კ., სულ 4079 მ. 64 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასულის: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი დუქანი ბალახანითა და ოთახებით, მიწის ზომა 276 ოთხ-კუთხი საჟ. 5 ნაწ. 1 განყოფილებაში თათრის მოედანზე და ჩუღურეთში 7 და 8 ნაწ. 2 განყოფ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 18763 მ. 59 კ. შემოსატანი 5539 მ. 60 კ, სულ 24303 მ. 19 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირისავე სახლი ყოველისავე მოწყობილობით, მიწის ზომა 28 საჟ. სიგძით, ხოლო სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეს- თავნი ვალი 2701 მ. 40 კ. შემოსატანი 295 მ. 13 კ., სულ 2996 მ. 53 კ.

ჭრელაშვილი, გრიგოლ დავითის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით, მიწის ზომა 4 დესიატინა. ქ. ტფილისში, ნავთლუღს, 2 განყ. 16 ნაწ. თავნი ვალი 1286 მ. 39 კ. შემოსატანი 157 მ. 23 კ., სულ 1443 მ. 62 კ.

ჭავჭავაძე, გიორგი მელიქსედექის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა 2100 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავს. თავნი ვალი 3087 მ. 26 კ. შემოსატანი 234 მ. 96 კ., სულ 3322 მ. 22 კ.

ტეხმინცევი, აკოფ მიკირტუმას ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საჯინიბოთი, ბაღითა და ყოველისავე მოწყობილობით, მიწის ზომა 370 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც-კი აღმოჩნდება, ახალციხის მაზრაში. თავნი ვალი 2643 მ. 59 კ. შემოსატანი 229 მ. 61 კ., სულ 2873 მ. 20 კ.

ნერიასოვისა, ელისაბედ არკადის ასულისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 1 განყ. 1 ნაწ. მოსკოვის ბალკის ზემოდ. თავნი ვალი 661 მ. 1 კ. შემოსატანი 97 მ. 10 კ, სულ 758 მ. 11 კ.

ჭიჭინაძე, ეგნატე ნიკოლოზის ძე: ხუთი ერთ-სართულიანი სახლი, მიწის ზომა 115 ოთხ-კუთხი საჟენი. 1 ნაწ. 1 განყ. მთაწმინდის ჩამოსავალს ნაგორნის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავნი ვალი 461 მ. 44 კ. შემოსატანი 97 მ. 49 კ., სულ 558 მ. 93 კ.

თამამშევი, არტემ ალექსის ძე: ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორის ორ სართულიანის ფლიგელითა. მიწის ზომა 321 და $^{2}/_{3}$ ოთხ-კუთხი საჟ 1 ნაწ. 1 განყ. ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავნი ვალი 17628 მ. 45 კ. შემოსატანი 1322 მ. 58 კ., სულ 18951 მ. 3 კ.

ტაბუნოვი, მიხეილ მიხეილის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ სართულიან ფლიგელით და სხვა მიშენებულის შენობებითურთ, მიწა $313^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს მიხეილის 1 ნაწ. 1 განყ. თავნი ვალი 19616 მ. 99 კ. შემოსატანი 1297 მ. 90 კ., სულ 20914 მ. 89 კ.

ჩოლაყაშვილი, ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით. მიწის ზომა 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავს თავნი ვალი 925 მ. 18 კ. შემოსატანი 144 მ. 8 კ., სულ 1069 მ. 26 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: ნაწილი მიწისა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწ. 2 განყ. ავჭალის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავნი ვალი 925 მ. 18 კ. შემოსატანი 121 მ. 48 კ., სულ 1046 მ. 66 კაპ.

ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი. მიწის ზომა 235 ოთხ-კუთხი საჟ 16 ნაწ. 2 განყ. წყლის საზიდ ქუჩაზე ნავთლუღში ქ. ტფილისს. თავნი ვალი 462 მ. 58 კ. შემოსატანი 66 მ. 86 კ., სულ 529 მ. 44 კ.

### II სოფლის მამულები

ხიმშიევები, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბექანის ასული: სახნავი და საძოვარი მიწა, ზომით 653 დესიატ. 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრაში, ანტონის-ხევში. თავნი ვალი 4042 მ. 35 კ. შემოსატანი 302 მ. 96 კ. სულ 4345 მ. 31 კ.

ნაზაროვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ყიჩიკში. თავნი ვალი 7185 მ. 80 კ. შემოსატანი 363 მ. 20 კ. სულ 7549 მ.

ჭიჭინაძისა, სოფიო როსტომის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და საბოსტნე ადგილები და ტყე 291 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში, სოფ. დიდს შავთაში. თავნი ვალი 2694 მ 68 კ. შემოსატანი 255 მ 82 კ. სულ 2950 მ. 50 კ.

ზარათაშვილი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე ადგილები. მიწის ზომა 177 დეს. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრაში აგარაკს ზემო-ოძისში. თავნი ვალი 4041 მ. 84 კ. შემოსატანი 400 მ. 40 კ. სულ 4442 მ. 24 კ.

კრისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და შენობანი, 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. თელავის მაზრაში სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 9141 მ. 2 კ. შემოსატანი 538 მ. სულ 9679 მ. 2 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავ-სათესი, ვენახი და სახლ-კარის ადგილები შენობებით, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა უჭირავთ ტფილ. გუბ. გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8132 მ. 55 კ. შემოსატანი 734 მ. 38 კ. სულ 8866 მ. 93 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. მაზრის სოფ. ბოგვში. თავნი ვალი 2726 მ. 52 კ. შემოსატანი 159 მ. 74 კ. სულ 2886 მ. 26 კ.

მელიქოვი, ივან ალექსანდრეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე; ზომით 2365 დეს. 364 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილ. გუბერნ. და მაზრაში გალიტალასა, მუსხანკას, მავმუთალას, ხუჯაბასა და სხვ. თავნი ვალი 12795 მ. 10 კ. შემოსატანი 706 მ. 25 კ. სულ 13501 მ. 35 კ.

ფალავანდიშვილი, ივან ანტონის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები. მიწის ზომა 90 დეს. გორის მაზრის სოფ. პატარა თამარაშენსა, ქვათეთრისა, ოკანოსა და ხიდის უბანში. თავნი ვალი 1828 მ. 4 კ. შემოსატანი 100 მ. 31 კ. სულ 1928 მ. 35 კ.

ქობულაშვილი, სოლომონ, იოსებ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესიატ. და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერ. თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 9139 მ. 34 კ. შემოსატანი 494 მ. 80 კ. სულ 9634 მ. 14 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 525 დესიატ. და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერ. გორის მაზრაში, სოფ. ახალ-ქალაქსა და სათარხნოს. თავნი ვალი 6396 მ. 97 კ. შემოსატანი 444 მ. 20 კ. სულ 6841 მ. 17 კ.

თარხან-მოურავი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 180 დესიატ. 1140 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. მაზრის აგარაკს ტბისსა და ბერთუბნის ... ბერთისში. თავნი ვალი 913 მ- 81 კ. შემოსატანი 95 მ. 20 კ. სულ 1009 მ. 1 კ.

კალატოზოვი, ვასილი აბელის ძე: სახნავ-სათიბი ადგილი და ტყე, ზომით 37 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 1370 მ. 89 კ. შემოსატანი 86 მ. სულ 1456 მ. 89 კ.

თაიროვისა, ეკატერინე ზურაბის ასული: სახნავ-საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე ზომით 212 დეს. 150 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრის მონასტრის ველში. თავნი ვალი 1827 მან. 89 კაპ. შემოსატანი 92 მან. 80 კ. სულ 1920 მ. 69 კ.

კაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 663 დესიატინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბარემკალას. თავ. ვალი 2741 მ. 80 კ. შემოსატანი 215 მ. 40 კ. სულ 2957 მ. 20 კაპ.

კახაძოვი, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 308 დესიატინა 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრას, სოფ. კონდოლში. თავ. ვალი 2741 მ. 80 კ. შემ. 269 მ. 60 კ. სულ 3011 მ. 40 კ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასული: სახნავი ადგილები ზომით 18 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფელ ხაშურში. თავ. ვალი 913 მ. 94 კ. შემ. 100 მან. 32 კ. სულ 1014 მ. 26 კ.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს ძე: სახნავი, სათიბი და ტყე 840 დესიატინა 2180 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, არაბატალა, ფალიან-თაქიანი და სხვ. თავნი ვალი 7350 მ. 93 კ. შემოს. 506 მ. 44 კ., სულ 7857 მ. 37 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერ. და მაზრაში, აბულმუღში. თავნი ვალი 5541 მ. 96 კ. შემ. 326 მ. 12 კ. სულ 5868 მ. 8 კ.

ზეინალოვები, ასკარ და იზმაილ ყასუმას ძენი: სახნავი სათიბი, საბაღესაბოსტნე ადგილები და ტყე ზომით 388 დეს. 250 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის შულავერის საადმინისტრაციო განყოფილებაში, ბორჩალოს ნაწილის სოფ. ახლი მაღმუთლუსთან. თავნი ვალი 4569 მ. 67 კ. შემ. 220 მ. სულ 4789 მ. 67 კ.

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბათის ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თიონეთის მაზრის სოფ. ბოტკოს. თავ. ვალი 11,083 მ. 80 კაპ. შემ. 518 მ. 80 კ. სულ 11602 მ. 68 კაპ.

სულხანოვი, სალომე იოსების ასული: სახნავი მიწები, ვენახი, საბოსტნე ადგილები და შენობები 148 დესიატინა 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. ეს მამული ტორგით დარჩა ალ. პოლტარაცკის. თავნი ვალი 6540 მ. 57 კ. შემ. 295 მ. 51 კ. სულ 6836 მ. 8 კ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ეზოთი, წყაროს წყლით და ერთ დესიატინამდის მიწით. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1868 მ. 79 კ. შემ. 142 მ. 6 კ. სულ 2010 მ. 85 კ.

წერეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე: საძოვარი ადგილები და ტყე, 1020 დესიატინა 1920 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენთან. თავნი ვალი 8249 მ. 93 კ. შემ. 654 მ. 58 კ. სულ 8904 მ. 61 კაპ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავნი, საძოვარი და სამოსახლო მიწა 148 დესიატინა 1860 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზ. სოფ. ოქროყანაში. თავ. ვალი 5155 მ. 96 კ. შემ. 389 მ. 79 კ. სულ 5545 მ. 75 კაპ.

თარხან-მოურავი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე: სახნავი, საძოვარი და საბოსტნე ადგილები და სათიბი, ზომით 233 დეს. და 956 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზრ. სოფ. კუმისში. თავ. ვალი 5155 მ. 96 კ. შემ. 334 მ. 67 კ. სულ 5490 მ. 63 კაპ.

ხიზანოვი, ლუკა ბიძინას ძე და სხვები: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 714 დესიატინა 1320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ, და თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი ვალი 2539 მ. 34 კ. შემ. 117 მ. 51 კ. სულ 2656 მ. 85 კ.

ავ-სარქისოვი, ფარსადან იაკობის ძე, იარალოვი, სერგეი ივანეს ძე და ფირო მელქისედექ ოსეფის ძენი: სახნავი, სათიბი და საძოვარი, 623 დეს. 888 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. გორის მაზ. სოფ. სკრაში. თავნი ვალი 1226 მ. 90 კ., შემოს. 543 მ. 99 კ., სულ 12770 მ. 89 კ.

იარალოვი, სერგეი ივანეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე 426 დეს. 1873 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 8464 მ. 77 კ., შემოს. 443 მ. 29 კ., სულ 8908 მ. 6 კ.

თამამშევი, ვასილ ზაქარიას ძე: სახნავ-სამოსახლო და საძოვარ-საბაღე ადგილები ზომით 106 დეს. 320

ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. მაზრის სოფ. ერთისში, თავნი ვალი 4702 მ. 63 კ., შემოს. 213 მ 39 კ.. სულ 4916 მ. 2 კ.

შალიკაშვილი, იოსებ ივანეს ძე: სახნავ-სამოსახლო ადგილები ტყე და ხეხილიანი ვენახი, მიწა ზომით 270 დეს. სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯაანში. თავნი ვალი 4702 მ. 61 კ., შემოს. 247 მ. 69 კ., სულ 4950 მ. 30 კ.

მეჩითოვთა, იაგორ, დარჩო და ნინო დარჩიას ძენი: სახნავ-საძოვარი ადგილები, ზომით 151 დესიატ. 657 ოთხ-კუთხი საჟ. გორ. მაზ. სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3291 მ. 43 კ., შემოს. 153 მ. 27 კ., სულ 3444 70 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საბალახე და ტყე 1977 დეს. 1280 ოთხ-კუხი საჟ. ტფილ. გუბერ. და მაზრაში, ძველ დუმანისში, სათარლოს და ვართევანის სოფლებში. თავნი ვალი 13167 მ. 58 კ., შემოსატანი 643 მ. 53 კ., სულ 13811 მ. 11 კ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავ-საძოვარი და სამოსახლო ადგილები, ზომით 178 დეს., 2011 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზრაში სოფ. საგაბაშვილოსა და თხინვალში. თავნი ვალი 2821 მ. 57 კ., შემოს. 229 მ. 33 კ., სულ 1050 მ. 90 კ.

ანდრონიკოვი, რევაზ იოსების ძე: სახნავ-საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 1053 დეს. 1440 ოთხ-კუთხი საჟ. თელ. მაზ., აგარაკს ზემო ხოდაშენს. თავნი ვალი 2821 მ. 57 კ., შემოს. 157 მ. 71 კ., სულ 2979 მ. 28 კ.

მელიქოვისა, მარიამ გრიგოლის ასული: სახნავი; საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1559 დეს. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზრას, სოფ. თოხლიკილისსა, სადახლო და ქვემო ცოპსა. თავნი ვალი 26417 მ. 33 კ., შემოს. 1416 მ., სულ 27833 მ. 33 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: საძოვარი, ხეხილიანი ვენახი და შენობანი ზომით 87 დეს. 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორ. მაზრაში სოფ. ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 3785 მ. 51 კ., შემოს. 350 მ. 51 კ., სულ 4136 მ. 2 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები 1434 დესიატ. 1120 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, მუსიყალაში და შინდლიარში. თავნი ვალი 10409 მ. 70 კ. შემოსატანი 524 მ. 47 კ. სულ 10934 მ. 17 კ.

ჩოლაყაშვილი, ნიკოლოზი თადეოზის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილები, სავენახე და ტყე, ზომით 5573 დესიატ. 1685 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, აგარაკთ ყარაბულახსა, ბოლდოსა, უჯარმასა და სამგორში. თავნი ვალი 59063 მ. 13 კ. შემოსატანი 2443 მ. 97 კ. სულ 61507 მ. 10 კ.

თარხან-მოურავი, ელენე ალექსანდრეს ასული: სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 545 დესიატ. 1645 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და გორ., მაზრ. სოფ. სათუხარლოში. თავნი ვალი 6340 მ. 19 კ. შემოსატანი 283 მ. 23 კ. სულ 6623 მ. 42 კ.

ხმიადოვი, ვასილ ეფრემის ძე: სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 145 დესიატ. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას და გორის მაზრას, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი 2839 მ შემოსატანი 131 მ. 21 კ. სულ 2970 მ. 21 კ.

გედევანოვი, კონსტანტინე დავითის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები 89 დესიატ. 2046 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას, ტფილისისავე, დუშეთისა და გორის მაზრის სოფლებში: მუხათ-გვერდს, საგურამოსა და სასხორს. თავნი ვალი 757 მ. 8 კ. შემოსატანი 83 მ, 54 კ. სულ 840 მან. 62 კ.

შალიკოვი, ალექსანდრე რაჟდენის ძე: სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე 394 დესიატ. 620 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. სკრას. თავნი ვალი 3785 მ. 35 კ. შემოსატანი 217 მ. 50 კ. სულ 4002 მ. 88 კ.

ერისთავი, ესტატე მირიმანოზის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები 280 დესიატ. 2006 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ახისში. თავნი ვალი 7570 მ. 63 კ. შემოსატანი 336 მ. 60 კაპ. სულ 7907 მ. 23 კ.

ბ) სესხნი გამოცემულნი ურთიერთობრივის თავდებობით.

1 ქალაქის მამულები

მაჭავარიანისა, მარინე ივანეს ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ხეხილიანი ბაღი და ეზო, ზომით 460 ოთხ-კუთხი საჟ. ქ: ტფილისს, მე-10 ნაწილსა და 2 განყოფილებაში. თავნი ვალი 6965 მ. 54 კ. შემოსატანი 435 მ. 58 კ. სულ 7401 მ. 12 კ.

ბარნოვი, მიხეილ ვასილის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორი ფლიგელი და მიწა $199^4/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი 3 ნაწილში, 1 განყოფილებაში; ქ. ტფილისს, იარმუკის შესახვევში. თავნი ვალი 5653 მ. 93 კ. შემოსატანი 341 მ. 90 კ. სულ 5995 მ. 83 კ.

ლისიტიანსკები, ვასილი გერასიმის ძე და მარიამ ალექსანდრეს ასული: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი. სარდაფის სართულით, ზომით $112^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მეათე ნაწილში: მე-2 განყოფილებაში მიხეილის ხიდზედ. თავნი ვალი 16070 მ. 13 კ. შემოსატანი 954 მ. 46 კ სულ 17024 მ. 59 კ.

ჯორჯაძე, დავით ვახტანგის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანისავე სარდაფით და ყოველისავე მოწყობილობით. მიწა ზომით 1443 ოთხ-კუთხი საჟ. ქალ თელავში. თავნი ვალი 6330 მ. 66 კ. შემოსატანი 442 მ. 68 კ. სულ 6773 მ. 34 კ.

მამნიევი, გიორგი იოსების ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ორიც ორ-სართულიანივე ფლიგელი, მიწა ზომით 54 ოთხ-კუთხი საჟ. მე-7 ავლაბრის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 2434 მ. 88 კ. შემოსატანი 206 მ. 90 კ. სულ 2641 მ 78 კაპ.

ერისთავისა, ნინო ალექსანდრეს ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფიანისავე სართულითა და მიშენებულით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე 2 განყოფილებაში; ნიკოლოზის ქუჩაზედ. თავნი ვალი 4869 მ. 75 კ. შემოსატანი 294 მ. 20 კ. სულ 5164 მ. 95 კ.

ფირალოვი, მელიქ მარლაამის ძე: ორი ორ-სართულიანი სახლი შენობებითა და ყოველისავე მოწყობილობით, მიწა ზომით სიგრძით ორისავე მხრით 30 და სიგანით 14 საჟ. მე-7 ავლაბრის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 3722 მ. 22 კ. შემოსატანი 117 მ. 9 კ. სულ 3839 მ. 31 კ.

კანდურინი, ვასილ თედორეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის კუთვნილებითურთ და მიწა 230 ოთხ-კუთხი საჟ. ქალ. ტფილისს, 9 ნაწილში, 2 განყოფილებაში. თავნი ვალი 3408 მ. 83 კ. შემოსატანი 261 მ. 2 კ., სულ 3669 მ. 85 კ.

მიკირტუმოვი, ოვაკიმ ვასილის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და 4 დუქანი სარდაფებით. მიწის ზომა 110 ოთხ-კუთხი საჟენი, 7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ავლაბარში. თავნი ვალი 4301 მ. 56 კ. შემოსატანი 274 მ. 15 კ., სულ 4575 მ. 71 კ.

კეკამოვი, არსენ სულთანის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ფლიგელით და ვენახი. მიწის ზომა 1 დეს. 1440 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ერევანს. თავნი ვალი 8116 მ. 25 კ. შემოსატანი 486 მ. 41 კ. სულ 8602 მ. 66 კ.

თუღუკვისა, სუსანა ბუღდანას ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფიანის სართულითა და სამი ფლიგელი. ერთი ორ-სართულიანი და ორი ერთ-სართულიანი. მიწა ზომით $104^4/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. ტფილისს 5 ნაწ. 1 განყ. ოქრომჭედლების ქუჩაზე. თავნი ვალი 8903 42 კ. შემოსატანი 525 მ. 16 კ., სულ 9428 მ. 58 კ.

ბეჟანოვი, მიხეილ ბეჟანის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და საბოსტნე ადგილი. მიწა ზომით 3090 ოთხ კუთხი საჟენი. ქალ. ტფილისის მეორე განყოფილებაში, მე-10 ნაწილში. თავნი ვალი 8243 მ. 93 კ. შემოსატანი 528 მ. 96 კ. სულ 8772 მ. 89 კ.

მელიქ-აღამალოვი, ალექსანდრე მათეს ძე: 1) ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ქარვასლა, სამის ფლიგელისაგან შემდგარი: ერთი ორ-სართულიანი და ორი თითო სართულიანი ყოველისავე კუთვნილებითურთ და 2) ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და სამი ფლიგელი: ერთი ორ-სართულიანები და ორი ერთ-სართულიანი მიწა 919 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ერევანს. თავნი ვალი 12363 მ. 87 კ. შემოსატანი 724 მ. 74 კ. სულ 13090 მ. 61 კ.

ალელოვი, იოსებ დავითის ძე: სამი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, მიწის ზომა 91 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 2510 მ. 37 კ. შემოსატანი 151 მ. 10 კ. სულ 2661 მ. 47 კ.

ალავოვი, გერმანე ტიმოთეს ძე: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფებით და ყოველისავე მოწყობილობით და ხეხილის ბაღი, მიწა, $342^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. 1 ნაწილი 1 განყოფილებისა ქ. ტფილისს. თავნი ვალი 5941 მ. 76 კ. შემოსატანი 435 მ. 12 კ., სუთ 6376 მ. 88 კ.

დისამიძე, ნიკოლოზ დავითის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი. მიწის ზომა $661^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 9438 მ. 41 კ. შემოსატანი 898 მ. 28 კ., სულ 10336 მ. 69 კ.

ანდრონიკოვისა, თებრონია გიორგის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით: სიგრძით 25 და სიგანით 15 საჟენი. ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 1697 მ. 65 კ. შემოსატანი 123 მ. 45 კ., სულ 1821 მ. 10 კ.

სტეფანოვი, მუღდუსი გალუსტ ტეროჰანეზას ძე: ორი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი საჯინიბოთი. მიწის ზომა სიგრძით 40, სიგანით ზემოდამ $5^1/_2$ და ქვემოდამ 3 რუსული საჟენი და 8 ვერშოკი. ქ. ალექსანდროპოლს მე-53 უბანში. თავნი ვალი 2581 მ. 53 კ. შემოსატანი 157 მ. 26 კ., სულ 2738 მ. 79 კ.

მმანაროვისა, სოფიო გერასიმეს ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიშენებულით, მიწა 107 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ავლაბარში. თავნი ვალი 774 მ. 46 კ. შემოსატანი 113 მ. 13 კ., სულ 887 მ. 59 კ.

იოსელიანი, ეკატერინე მოსეს ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ფლიგელი ბაღითა და ყოველისავე მოწყობილობით, მიწა ზომით 270 ოთხ-კუთხი საჟ. ნავთლუღში. თავნი ვალი 1721 მ. 2 კ. შემოსატანი 103 მ. 40 კ., სულ 1824 მ 42 კ.

თავდგირიძე, ბესარიონ გაბრიელის ძე: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნე და ხეხილიანი ვენახი და მიწა სიგრძით 51 და სიგანით 48 ოთხ-კუთხი საჟენი. ქალაქ გორს. თავნი ვალი 3442 მ. 2 კ. შემოსატანი 198 მ. 30 კ., სულ 3640 82 კ.

ქარბალა-ალი-ახვერ-ჯაჯი-ყასუმ-ოღლი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, საყინულეთი და საჯინიბოთი და ხეხილიანი ვენახი, ზომით 12366 ოთხ-კუთხი საჟ. და ორი არშინი. ქ. ერევანს, შაგარის უბანში, სართი-ქუჩასის ქუჩაზედ. თავნი ვალი 4184 მ. 89 კ. შემოსატანი 236 მ. 96 კ., სულ 4421 მ. 85 კ.

შახმურადოვები, მარტიროზ, არუთინა და მიხეილ ისააკის ძენი, მარიამ ვასილის ასული, ბარბარე და მარიამ ნიკიტას ასულნი, და ხეროდინოვისა, ელისაბედ ნიკიტას ასული: სამი ორ-სართულიანი სახლი სარდაფებით, ორი ფლიგელი: ერთი ორ-სართულიანი, მეორე ერთ-სართულიანი სარდაფებით და ყველა მოწყობილობით. ზომა მიწისა 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, ვერის 1 ნაწილში. თავნი ვალი 61029 მ. 69 კ. შემოსატანი 4290 მ. 60 კ., სულ 65320 მ 29 კ.

ანტონოვი, ოვაკიმ ანტონის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და დუქანი. მიწა ზომით $170^1/_3$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანს ტაბაშინსკის უბანში. თავნი ვალი 4882 მ. 40 კ. შემოსატანი 73 მ. 83 კ., სულ 4956 მ. 23 კ.

ტერ-მარუქოვი, ეკატერინე ნიკიტას ასული: ერთ სართულიანი სახლი სარდაფით და ყველა მოწყობილობით და მიწა 72 სიგრძით და სიგანით 32 არშინი რუსულის ზომისა. ქ. ერევანს. თავნი ვალი 4237 მ. 76 კ. შემოსატანი 368 მ. 50 კ., სულ 4606 მ. 26 კ.

ოკინჩიც, ნინა იაკობის ასული: საქონლის საწყობი ადგილი 351 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 10 საბაღო ნაწილში 2 განყოფილებისა. თავნი ვალი 882 მ. 87 კ. შემოსატანი 138 მ. 68 კ., სულ 1021 მ. 55 კ.

ფირალოვი, ლევან სიმონის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფითა და საჯინიბოთი, ზომა მიწისა 113 ოთხ-კუთხი საჟ. და სამი ოთხ-კუთხი არშინ. ქალაქ ახალციხეში. თავნი ვალი 1324 მ. 30 კ. შემოსატანი 110 83 კ., სულ 1435 მ. 13 კ.

ნიკოლაძე, ეკატერინე იაკობის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ზომით 370 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ქუთაისს. თავნი ვალი 3708 მ. 6 კ. შემოსატანი 296 მ. 56 კ., სულ 4004 მ. 62 კ.

ქართაშევი, არტემ ევგარაფის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი. მიწა ზომით 268 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 10 ნაწ. 2 განყ. დაპოჟნის ქუჩაზე. თავნი ვალი 2648 მ. 50 კ. შემოსატანი 222 მ. 3 კ., სულ 2870 მ. 53 კ.

წერეთელი, მიხეილ ემელიანის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ერთ-სართულიანის ფლიგელით. მიწა ზომით 110 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 7 ნაწ. 2 განყ. ლუარსაბოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 529 მ. 43 კ. შემოსატანი 57 მ. 6 კ., სულ 586 მ. 49 კ.

ჩერქეზოვისა, ბარბარე ესაევის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითურთ, მიწა $81^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 9 ნაწილში 2 განყოფილებისა. თავნი ვალი 4414 მ. 33 კ. შემოსატანი 396 მ. 2 კ., სულ 4810 მ. 35 კ.

ჯაირაპეტოვი, სერგეი ავეთისას ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ოთხი ერთ სართულიანი ფლიგელი. მიწის ზომა 88 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 5 ნაწ. 1 განყოფილებაში, ფეთხაინის ვიწრო ქუჩაზე. თავნი ვალი 1059 მ. 44 კ. შემოსატანი 93 მ. 92 კ., სულ 1153 მ. 36 კ.

ტერ-ხუბატუროვისა, ელისაბედ ასტვაცატუროვის ასული: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი. მიწის ზომა სიგძით 50 და სიგანით 30 არშინი რუსულის ზომისა. ქ. ერევანში ბებუთოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 1608 მ. 43 კ. შემოსატანი 101 მ. 34 კ. სულ 1709 მ. 77 კ.

თამამშევი, არტემ ალექსის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და სამ სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟ. 8 ნაწ. 2 განყ. ტფილისს პანასევის ქუჩაზე. თავნი ვალი 13403 მ. 40 კ. შემოსატანი 725 მ. 50 კ., სულ 14128 მ. 90 კ.

მელქუმოვი, სოფიო პეტრეს ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწის ზომა 103 და $^2/_3$ ოთხ-კუთხი საჟ. 9 ნაწ. 2 განყ ქ. ტფილისს ახალ კათოლიკეთა ქუჩაზე. თავნი ვალი 536 მ. 15 კ. შემოსატანი 74 მ. 90 კ., სულ 611 მ. 5 კ.

ზარათაშვილი, ნიკოლოზ მიხეილის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, ზომით $57^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი 1 განყოფილებაში, 2 ნაწილ., მთა-მინდაში. თავნი ვალი 3216 მ. 82 კ. შემოსატანი 198 მ. 64 კ., სულ 3415 მ. 46 კ.

თუხარელი, დავით სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწის ზომა $90^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ 4 ნაწ. 1 განყ. ქ. ტფილისს, სამების ქუჩაზე. თავნი ვალი 2680 მ. 68 კ. შემოსატანი 113 მ. 42 კ., სულ 2794 მ. 10 კ.

ანდრონიკოვისა, სალომე გრიგოლის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწის ზომა $38^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. 5 ნაწ. 1 განყ. ქ. ტფილსს ფომინის ქუჩაზე. თავნი ვალი 3796 მ. 57 კ. შემოსატანი 238 მ. 88 კ., სულ 4035 მ. 45 კ.

გაბაშვილისა, თინათინა ზაქარიას ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ზომით 75 ოთხ-კუთხი საჟ. 1 არშ. 130 ვერშ. 2 ნაწილ. 1 განყოფ., ქ. ტფილისში. თავნი ვალი 8135 მ. 48 კ. შემოსატანი 829 მ. 30 კ. სულ 8964 მ. 78 კ.

კრემანცი, მიკირტიჩ არუთინას ძე: